ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2294717

ნომერი: AR1356036

თარიღი : 11.11.2015

გაცემის თარიღი : 18.11.2015

გაცნობის თარიღი : 18.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N80-ში ს/ს "სასტუმრო ვაკე"-ში შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს, (ნაკვეთი N1/46) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნია მგალობლიშვილი პ/ნ 01033000132
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 51 კორ. 2 ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი #80-ში ს.ს. "სასტუმრო ვაკე"-ში შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს, შ.პ.ს. "თბილისის კომერციული ქონება"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.14.10.001.046), არსებული შენობის სახურავზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2015 წლის 09 ნოემბერს გაცემულ №2287118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015486489 01/09/2015წ. საკადასტრო კოდი N 01.14.10.001.046; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი #80-ში ს.ს. "სასტუმრო ვაკე"-ში შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს, შ.პ.ს. "თბილისის კომერციული ქონება"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.14.10.001.046), არსებული შენობის სახურავზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2015 წლის 09 ნოემბერს გაცემულ №2287118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.